სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 ივლისი, 2026 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/129

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ალექსანდრე მჟავანაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/29 დადგენილების, „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“ (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №01-06/16 დადგენილება), „2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის (გარე მობილობის) წესით ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 28 თებერვლის №01-08/53 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 ივლისის №06-01/61 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/09, 02.07.2026წ.) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES7 26 0000857194, 03.07.2026წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ალექსანდრე მჟავანაძის** სადისერტაციო ნაშრომის <u>“საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობის ამაღლების, მართვისა და კონტროლის მექანიზმების სრულყოფის შესაძლებლობები“</u> **საჯარო დაცვა დაინიშნოს 2026 წლის 15 ივლისს,** 14:00 საათზე, 423-ე აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი №2, მე-4 სართული).

2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ბიზნესის ადმინისტრირების“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. ასიე ცინცაძე - ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის თავმჯდომარე);**
2.2. ირმა ჩხაიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **(მდივანი);**
2.3. ვლადიმერ ღლონტი - ბსუ-ს პროფესორი;
2.4. ნათელა წიკლაშვილი - ბსუ-ს პროფესორი;
2.5. ვაჟა ვერულიძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.6. მურმან ცეცხლაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.7. ლელა ონიანი – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.8. გულიკო ქათამაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.9. დარეჯან ჩხუბაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.10. ნატო ჯაბნიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.11. ქეთევან გოლეთიანი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.

4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (გ. ქათამაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ლ. ცეცხლაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე